საკონკურსო პროექტი: „ახალი ვარჯაანი“

2019 წლის 23 ივლისს დასრულდა საკონკურსო პროექტი: სოფელ ახალი ვარჯაანის ადმინისტრაციული ცენტრი; ამ ეტაპზე არ გამოვლინდა გამარჯვებული. პროექტზე მუშაობა გაგრძელდა საზაფხულო სკოლაში

საზაფხულო სკოლა ვარჯაანში: „მიწის არქიტექტურა“

2019 წლის 26 ივლისიდან ოთხი დღის განმავლობაში ვარჯაანში გაიმართა საზაფხულო სკოლა. საზაფხულო სკოლის მიზანია სტუდენტებს გააცნოს და შეასწავლოს „მიწის“, როგორც ეკოლოგიური მასალის შესაძლებლობები არქიტექტურაში. ოთხი დღის განმავლობაში სტუდენტებს უტარდებოდათ ლექციები და ბოლოს თავიანთი ხელით ააშენეს მიწისგან ერთი კედელი. საზაფხულო სკოლას გაუძღვა არქიტექტორი გივი ჩაყელი. ინიციატორი ლევან ჩოლოყაშვილი

ხედი ვარჯაანის ტერიტორიაზე

საზაფხულო სკოლა

სტუდენტების მიერ აგებული კედლის ფრაგმენტი

საზაფხულო სკოლის მიმდინარეობისას გაიმართა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტების პროექტების: „სოფელ ახალი ვარჯაანის ადმინისტრაციული ცენტრი“ გამოფენა და განხილვა. გამოფენის გახსნას დაესწრო შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე.

გამოფენა და განხილვა

პროექტში ცართულები იყვნენ არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები: ნ. იმნაძე, ვ.ქობულია, ბ. ტატიშვილი, გ. გეგლია, ბ. თინიკაშვილი